# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

## ოქმი №25

25.09.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ეკატერინე ცეცხლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 12 სექტემბრის №12-031825524-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   **/მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 18 სექტემბრის №12-03182611-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   **/მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 18 სექტემბრის №12-03182626-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   **/მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 12 სექტემბრის №12-031825524-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182262359-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.953; ცვლილების ფართობი: 752 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.760) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №157 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე, მათ შორის ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელების მიწა“-ზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.953 ცლილების ფართობი: 752 კვ.მ.) დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

**მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 12 სექტემბრის **№12-031825524-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01182262359-67) განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 18 სექტემბრის №12-03182611-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №0118239616-67; №0118239679-67; №06-01181522609-01; №01182412519-67; №01182422420-67).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 5 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.36.014.713; 01.19.36.014.714; 01.19.36.014.716; 01.19.36.014.718; 01.19.36.014.722; 01.19.36.014.723; 01.19.36.014.724; საერთო ფართობი: 377 983,1 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№0118239616-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№0118239616-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.36.014.713; 01.19.36.014.714; 01.19.36.014.716; 01.19.36.014.718; 01.19.36.014.722; 01.19.36.014.723; 01.19.36.014.724; საერთო ფართობი: 377 983,1 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.21.03.030; 01.19.36.014.452; 81.21.03.024; 01.19.36.014.449; 81.21.03.027; 81.21.03.025; 81.21.03.029; 01.19.36.014.453; 01.19.36.014.454; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.456; 01.19.36.014.457; 01.19.36.014.525; 01.19.36.014.526; 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთი №14/30) (საკადასტრო კოდი: №№01.19.37.012.008; 01.19.37.012.009, 01.19.37.012.010; 01.19.37.012.011; 01.19.37.012.012; 01.19.37.012.013; 01.19.37.012.014; 01.19.37.012.015; 01.19.37.012.016; 01.19.37.012.017; 01.19.37.012.018; 01.19.37.012.019; 01.19.37.012.020; 01.19.37.012.021; 01.19.37.012.022; ცვლილების ფართობი: 388 679,1 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№0118239679-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№0118239679-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.37.012.008; 01.19.37.012.009, 01.19.37.012.010; 01.19.37.012.011; 01.19.37.012.012; 01.19.37.012.013; 01.19.37.012.014; 01.19.37.012.015; 01.19.37.012.016; 01.19.37.012.017; 01.19.37.012.018; 01.19.37.012.019; 01.19.37.012.020; 01.19.37.012.021; 01.19.37.012.022; ცვლილების ფართობი: 388 679,1 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ/რ-ნის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას

შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.21.03.030; 01.19.36.014.452; 81.21.03.024; 01.19.36.014.449; 81.21.03.027; 81.21.03.025; 81.21.03.029; 01.19.36.014.453; 01.19.36.014.454; 01.19.36.014.455; 01.19.36.014.456; 01.19.36.014.457; 01.19.36.014.525; 01.19.36.014.526; 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „გ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - ქ. თბილისში, **ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№06-01181522609-01).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№06-01181522609-01 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.003.055; ფართობი: 867 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ფაქტობრივი მდგომარეობით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარკვეული მონაკვეთი განთავსებულია სამრეწველო ზონა 2-ში და უშუალოდ წარმოადგენს სამრეწველო ზონის შემადგენელ (განუყოფელ) სივრცით ნაწილს, ისევე, როგორც მიმდებარედ (მომიჯნავედ) არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კოდი: №№01.19.24.003.005; 01.19.24.003.047; 01.19.24.003.022). გარდა ამისა, დასახელებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ყოფილი სავაჭრო შემზღუდველი ბაზის ტერიტორიულ განუყოფელ სივრცეს და მოიცავს შენობა-ნაგებობების წერტილოვანი ფუნდამენტებით დაკავებულ ტერიტორიას. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) რეჟიმი.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - ქ. თბილისში, **სანერგის ქუჩა, №6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.065; ფართობი: 5,2კვ.მ.) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01182412519-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182412519-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სანერგის ქუჩა №6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.065; ფართობი: 5,2 კვ.მ.) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტის „ე" ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, №13-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 103 კვ.მ.) შესახებ (№01182422420-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182422420-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი I, №13-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.23.021.039) მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე ზონის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად საცხოვრებელი ზონა ვრცელდება უკვე არსებულ საავტომობილო გზაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით განხორციელდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა.

**მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან** (სულ: 5 წინადადება - №0118239616-67; №0118239679-67; №06-01181522609-01; №01182412519-67; №01182422420-67) **დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე** დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 18 სექტემბრის №12-03182611-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0118239616-67; №0118239679-67; №06-01181522609-01; №01182412519-67; №01182422420-67) დადებითად შეფასებისა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 18 სექტემბრის №12-03182611-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0118239616-67; №0118239679-67; №06-01181522609-01; №01182412519-67; №01182422420-67) განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 19 სექტემბრის №12-03182626-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი წარმოადგინა** ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01181592950-67/01181592518-67; №01182062880-67).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 2 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - ქ. თბილისში, **ცაიშის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.042) ნაწილზე, 765 კვ.მ. ფართობზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების შესახებ (№01181592950-67; №01181592518-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181592950-67 და №01181592518-67 განაცხადებით**, ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ.) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას და უშუალოდ ემიჯნება არსებულ სასაფლაოს, ასევე, სასაფლაოები ნაწილობრივ, უკვე გადასულია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში.

**შეკითხვები დასვეს:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ (ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე)** - ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს მიმდებარედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში სასაფლაოების განთავსების მიზანშეწონილობისა და მსგავსი შემთხვევის განმეორებისას, შემდგომი რეაგირების თაობაზე.

**ბ-ნმა გ. ტყემალაძემ** - ლადშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში სასაფლაოს შეჭრის (საფლავების განთავსებისთვის საჭირო ნებართვის გაცემის) კანონიერების თაობაზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ბა-ნმა რ. სოხაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს მიმდებარედ ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის ცვლილების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის, რადგან აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ იგეგმება დედაქალაქისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარეკრეაციო ფუნქციის მქონე დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია-მოწყობა და

სამომავლოდ, სასაფლაოს გაფართოებით, შესაძლებელია დენდროლოგიური პარკს მიადგენს ზიანი.

ბ-ნი რ. სოხაძისა და ბ-ნი გ. ტყემალაძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ, რომლის განმარტებით, საკითხის განხილვისას სამსახურის წარმომადგენლებმა ადგილზე მოახდინეს ფაქტობრივი (არსებული) სიტუაციის შესწავლა და დადგინდა, რომ სასაფლაოები შეჭრილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში, თუმცა აღნიშნული ტერიტორია განთავსებულია ფერდობზე, დენდროლოგიური პარკიდან მოშორებით, რის გამოც, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალსწინებით, რეკომენდაცია გაეწია ფუნქციური ზონის ცვლილებას.

ხოლო ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებულ ლადშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში სასაფლაოს შეჭრის (საფლავების განთავსებისთვის საჭირო ნებართვის გაცემის) კანონიერების თაობაზე, მომხსენებელი ინფორმაციას არ ფლობდა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, აზრი გამოთქვა:

**ბ-ნმა რ. სოხაძემ** - დაინტერესებული პირისა (განმცხადებელი: მ. ძაგანია) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, **№01181592950-67 და №01181592518-67 განაცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ.) მოთხოვნილი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების საკითხის** განხილვის გადადების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

**გადადებულ იქნას №01181592950-67 და №01181592518-67 განაცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ.) მოთხოვნილი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების საკითხის** განხილვა დაინტერესებული პირისა (განმცხადებელი: მ. ძაგანია) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- **განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - ქ. თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე 24 კვ.მ. ფართობზე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ.**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182062880-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში და განთავსებულია შენობა-ნაგებობა, შესაბამისად, სატრანსპორტო ზონის გავრცელება ტერიტორიაზე არის მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული რუკის ხარვეზი. ვინაიდან მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), ქალაქ თბილისში, იმერეთის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.012.018) ნაწილზე (ფართობი: 24 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მიზანშეწონილია.

**მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე, **კომისიამ გადაწყვიტა:**

1. **გადადებულ იქნას №01181592950-67 და №01181592518-67 განაცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.009.042) ნაწილზე (ფართობი: 765 კვ.მ.) მოთხოვნილი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების საკითხის** განხილვა დაინტერესებული პირისა (განმცხადებელი: მ. ძაგანია) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 19 სექტემბრის №12-

03182626-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01182062880-67) განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე